ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 156

"31" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ

ვინაიდან, თბილისის დიდი ლილოს ნაგავსაყრელის მოწყობა და ექსპლუატაციაში შესვლა მოხდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაცვის გარეშე, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,ვ" და ,,ზ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 75-ე მუხლის ,,ბ.ბ" და ,,ე.ი". ქვეპუნქტების და ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. დაევალოს ქ. თბილისის მთავრობას მოამზადოს წინადადებათა პაკეტი ქ. თბილისში დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების მიზნით;

2. განკარგულების პირველი პუნქტით განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებს, საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკას და

ევროგაერთიანების საბჭოს შესაბამის დირექტივას (Council Directive 1999/31/EC of 26 April 1999 on the landfill of waste);

3. განკარგულების პირველი და მეორე პუნქტების შესრულებისა და საკრებულოში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2014 წლის 10 ნოემბერი.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**